


ნოდარ გულბიანი



მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა
წარმართული კულტების წინააღმდეგ
საქართველოს მთიანეთში

ნოდარ გულბიანი

მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა
წარმართული კულტების წინააღმდეგ
საქართველოს მთიანეთში

თბილისი

2010 წ.

ბროშურაში ავტორი, არსებული ლიტერატურის და პირველწყაროებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების და საკულტო მოქმედებების მიმართ მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ.

გადმოგვცემს იმ რეალობას, რომ მთის ყოფაში ბევრი წარმართული წეს-ჩვეულება დღემდე ინარჩუნებს არსებობას და იგი ქრისტიანული დღესასწაულის სახით ტარდება, რაც ავტორის აზრით განპირობებულია, მთის ყოფისთვის დამახასიათებელი ძველის სიცოცხლისუნარიანობით.

რედაქტორი: ფილოსოფიის დოქტორი

პროფესორი რაგიმ ანდრიაშვილი

რეცენზენტი: ფილოსოფიის დოქტორი

პროფესორი დავით თაქთაქიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: მარინე ქარსელაძე

ISBN 978-9941-0-3016-1

©NodarGulbiani.2010.

მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა

წარმართული კულტების წინააღმდეგ

საქართველოს მთიანეთში

საქართველოს მთის ყოფაში არსებული ყოფითი და რელიგიური ტრადიციების კვლევა გვიჩვენებს, რომ ისინი ძირფესვიანად არიან გადახლართული წარმართულ რელიგიასთან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ ისეა შერწყმული ქრისტიანულ რელიგიასთან, რომ ხშირად ვერც კი ვარჩევთ რომელი მათგანია წარმართული და რომელი ქრისტიანული. ამის შესახებ ვ. ბარდაველიძე წერს: - „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ქრისტიანობის წარმოშობამდე და მის გავრცელებამდე საქართველომ კულტურული განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი განვლო, რომელიც იდეოლოგიის ხაზით უძველეს მდიდარ სარწმუნოებასა და კულტურებს შეიცავდა. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს მთიანეთი, კერძოდ სვანეთი წარმოადგენს“¹.

სვანეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხშირ შემთხვევაში ქრისტიანული წმინდანების სახელით უძველესი ხალხური ღვთაებები, ხოლო ქრისტიანული უქმე - დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს - ჩვეულებები სრულდებოდა.

მართალია, ქრისტიანულმა რელიგიამ ჩვენში წარმოშვა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მრავალი შესანიშნავი ნივთიერი ობიექტი (ჯვარ - ხატებისა და კედლის მხატვრობის სახით და

ქართული ქრისტიანული მწერლობის მრავალრიცხოვანი ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლი), მაგრამ იგი ხალხურ სარწმუნოებას მაინც ნაკლებად შეეხო. ყოველშთმხვევაში მასში უფრო მეტად ხალხური სარწმუნოების გარეგნული, სარიტუალო მხარეები აისახა. მით უმეტეს, ეს ეხება საქართველოს მთიანეთს, კერძოდ სვანეთს. სწორედ, წარმართული რელიგიების სიჭარბის გამო სვანეთი ბევრ მკვლევარს არაქრისტიანულ კუთხედ წარმოედგინა, მაგრამ საეკლესიო ძეგლების გაცნობა და ისტორიული წყაროების ანალიზი მტკიცედ ასაბუთებს სვანეთის მოსახლეობაში როგორც ქრისტიანული რწმენის სიმტკიცეს, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში ეკლესიის მნიშვნელოვან როლს. უკეთებდა რა ანალიზს XV საუკუნის ხელნაწერს, რომელიც ეხება სვანების მიერ რაჭის ერისთავის ჯაფარიძის მოკვლის გამო გადასახდელი სისხლის ფასის - „წორის“ გამოანგარიშებას, დ. ბაქრაძე გვამცნობს, რომ სვანებს ჰქონდათ განსაკუთრებული, საგანგებოდ დიდი კრება, სადაც უამრავი ხატმონასტრების წარმომადგენლობითი მონაწილეობა იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანობა სვანეთში, საკმაოდ განმტკიცებული იყო. ოსმალ - თათართა ბატონობის დროს სვანები სხვა ქართველებთან ერთად იცავდნენ მაცხოვრის საფლავს. მიუხედავად ამ სარწმუნო ისტორიული ფაქტებისა ზოგიერთი რუსი ავტორი სვანეთს გვიხასიათებს არა, როგორც ქრისტიანულ კუთხეს, რომელსაც საკმაოდ მაღალი კულტურა გააჩნია, არამედ იგი დახასიათებულია როგორც «совершенно дикая страна». სვანეთის მიმართ ამ არასწორ თვალსაზრისს ავითარებენ მეფის მოხელეები: შახოვსკი, რომანოვ - როსტოვსკი, ბარტლომეი, გაგარინი, უსლარი, აკინფიევი და სხვა. კერძოდ ი. აკინფიევი 1893 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში

ცდილობდა შავ ფერებში წარმოედგინა სვანები, მათი ყოფა - ცხოვრება, კულტურა, წეს - ჩვეულებები და სხვა. ამასთან, იგი მიუთითებს სვანების არამორწმუნეობაზე, მათს მიერ რელიგიური რწმენის, კერძოდ ქრისტიანობის უგულებელყოფაზე. ქართველი ავტორის ი. ტყეშელაშვილის მტკიცებით სვანები კვირაში სამ დღეს დღესასწაულობდნენ, სახელდობრ, ხუთშაბათს, როგორც მაჰმადიანები, შაბათს, როგორც ებრაელები და კვირას, როგორც ქრისტიანები. მაგრამ, აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მოსაზრება სრულიად მცდარია, რადგან ჯერ ერთი, სვანეთში ქრისტიანობა გაცილებით ადრე გავრცელდა და მეორეც, სვანეთი როგორც ცნობილია მისი ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომ არაფერი ვთქვათ ამ ხალხის თვითმყოფადი კულტურისა და რელიგიური მრწამსის სიმტკიცის შესახებ, რამდენადაც ყველაზე ნაკლებად გამოცადეს სხვა ხალხების შემოსევები, შესაბამისად ნაკლებად გამოცადეს მათი კულტურისა და სარწმუნოების გავლენაც. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ სვანების მიერ კვირაში სამი დღის უქმობა შედეგია არა გარედან შემოსული სხვა რელიგიების (იუდარმი, ისლამი) ზეგავლენისა, არამედ თვით წარმართული რელიგიური რწმენის ერთგვარი აღორძინებისა და მისი სიძლიერისა.

ცნობილი ფაქტია, რომ სვანეთში ქრისტიანულ ეკლესიას, როგორც სრულიად საქართველოში რელიგიურ მრწამსთან ერთად გააჩნია უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაც, რომელსაც მორჩილებაში ჰყავდა მთელი მოსახლეობა. მაგრამ, მკვლევართა ნაწილის იმ მოსაზრებას, რომ თითქოს აქ ქრისტიანული რელიგიური რწმენა დაცემული იყო, მაინც აქვს გარკვეული საფუძველი. ეს არის როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, მეფის მოხელეების მიერ ისტორიული

ფაქტების დამახინჯებით სვანეთზე შექმნილი ყალბი წარმოდგენა და იმ მისიონერული მოღვაწეობის შედეგები, რომელსაც ისინი ეწეოდნენ საქართველოს მთიანეთსა და მაჰმადიანურ მოსახლეობაში.

მეფის მთავრობამ, მისი სტრატეგიული ხაზის უკეთესად განხორციელებისათვის, საჭიროდ ჩათვალა გაეტარებინა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართველთა რელიგიური თავისებურებათა აღმოფხვრა და კავკასიაში მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნით 1860 წლიდან მოქმედება დაიწყო ე. წ. „კავკასიაში მართლმადიდებლურ - ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელმა საზოგადოებამ“.

ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად მარტო 1884 წელს აშენდა 32 ახალი ეკლესია, ხოლო აღდგენილი იქნა 24 ძველი.² ამავე წლისათვის საზოგადოება საერთოდ კავკასიაში კონტროლს უწევდა 137 სამწყსოს. აქედან 19 თუმ - ფშავ - ხევსურეთში, 14 სვანეთში და 17 სამურზაყანოში იყო³. ამ მისიონერული მოღვაწეობის მთავარი მიზანი მაინც ის იყო, რომ უზრუნველყო ქართული ეკლესიის სრული „ფერიცვალება“⁴, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ღმერთისადმი რწმენა კოლონიური პოლიტიკის გატარების მძლავრ იარაღად ექციათ⁵, და საქართველოს მთიანეთში ქრისტიანული რელიგიის აღდგენის საბაბით, მისი ცარისტული რეჟიმი განეხორციელებინათ. ამიტომ იყო, რომ მთის მოსახლეობა უნდობლად ხვდებოდა „ქრისტიანობის აღდგენის“ ამ ღონისძიებებსაც, რის გამოც იგი სვანეთის სინამდვილეში ერთგვარ საწინააღმდეგო შედეგსაც კი იწვევდა. ხალხი კიდევ უფრო აქცევდა ზურგს ქრისტიანობას და პირს

წარმართობისაკენ იბრუნებდა, რაც ცარიზმის პოლიტიკისადმი ერთგვარი პროტესტი იყო. აქ ფაქტიურად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი იდეოლოგია, რუსული მართლმადიდებლობა და ქართული (სვანური) წარმართობა. რუსულ მართლმადიდებლობაში ხალხი ხედავდა ექსპლოატატორულ იდეოლოგიას და ბუნებრივია, მისდამი არავითარი კეთილი განწყობა არ შეიძლება ჰქონოდა. წარმართობა ამშემთხვევაში გამოხატავდა ეროვნულ ინტერესებს და პროტესტს მეფის თვითმპყრობელობისადმი. მითუმეტეს, რომ კულტმსახურება წარმართობაში სვანი ხალხისათვის არა უცხო - მისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე, არამედ მშობლიურ ენაზე ტარდებოდა. ამ გარემოებამ უეჭველია შეასრულა გარკვეული როლი სვანეთის სინამდვილეში წარმართული რელიგიური შეხედულების აღორძინება-განმტკიცების საქმეში. ხელი შეუწყო მისი არსებობის შენარჩუნებას, რაც აუცილებლად ანგარიშგასაწევია.

გამომდინარე აღნიშნულიდან სწორად არ მიგვაჩნია მ. დუმბაძისა და ზოგიერთი სხვა მკვლევარის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს სვანეთში ქრისტიანობა სხვადასხვა სარწმუნოებრივ კულტურათა აღრევის შედეგად დაიკარგა. სვანეთში არავითარი სხვადასხვა სარწმუნოებრივი კულტურათა აღრევა არ ყოფილა და არასოდეს ქრისტიანული რელიგია დაკარგული არ ყოფილა. სხვა საკითხია თუ ვიტყვით, რომ სვანეთში ქრისტიანობის ერთგვარი დაქვეითების შედეგად გამოცოცხლდა წარმართული რელიგიური შეხედულებები, რომელთა გადმონაშთები დღემდე საკმაო სიძლიერით შემორჩენილი.

თვით სვანები თავის თავს ჭეშმარიტ ქრისტიანებად თვლიან. მათი რწმენით ისინი თვითონ იესო ქრისტემ მოაქცია ქრისტიანულ

სარწმუნოებაზე და მას შემდეგ უცვლელად მიჰყვებიან ამ რწმენას.⁶ სვანების წარმოდგენით მათი ღმერთი ისევე ყველაზე მაღალი და ყველაზე ძლიერია, როგორც ყველაზე მაღალია თვით სვანეთის მთები. უზენაესი ღმერთის სახელწოდებაც სვანურ ზეპირსიტყვიერებაში უშუალოდ ემთხვევა ერთიანი ღმერთის ანუ „მამა ღმერთის“ ცნებას. ეს არის „ხოშა ღერბეთ“, - უფროსი ღმერთი, ანუ მამა ღმერთი. ღმერთის ამ სახელწოდებას ხშირად სხვა ცნებითაც გამოხატავენ: „ფუსნაბუასდიში“ - სამყაროს შემოქმედი, ყოვლისმყოფელი, ხოლო „ღმერთად“, ღვთაების ცნების ქვეშ სვანები გულისხმობენ ყველა სახის წმინდანს, თვით ხატებსაც კი.

სვანების რწმენით ღმერთი იმდენად ძლიერი და უზენაესი ძალაა, რომ ყველაფერი მის სახელთან დაკავშირებული უდიდეს შიშსა და მოკრძალებას იწვევს მათს ცნობიერებაში. სწორედ ამიტომაც, რომ მორწმუნე სვანი არასოდეს ეკლესიაში ხატამდე არ მივიდოდა და არავითარ შემთხვევაში მას ხელს არ შეახებდა, თუნდაც მტვერისაგან გასაწმენდად. შეიძლება ესეც არის მიზეზი იმისა, რომ სვანეთის ეკლესიებში არასოდეს არაფერი იკარგებოდა. სვანი ხალხი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სათუთად უფრთხილდებოდა საეკლესიო ნივთებს, მთელ მის ქონებას. ამას სათანადო დადებითი შედეგიც მოჰყვა თუ გავითვალისწინებთ, რომ სვანეთის ეკლესიებში დღემდეა შემონახული უნიკალური და უძვირფასესი ისტორიული და ეროვნული განძეულობანი, რომელიც ჩვენი ხალხის სულიერ სიმდიდრეს წარმოადგენს.

ამასთან, ყურადღება მისაქცევია ის გარემოებაც, რომ ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან ურთიერთობა ერთგვარ გავლენას ახდენდა მის რელიგიურ შეხედულებებზე, ხოლო სვანეთი ამ მხრივაც

ერთგვარი თავისებურებებით ხასიათდება. ეს მით უმეტეს ითქმის მველ სვანეთზე, რომელიც საკმაოდ მოწყვეტილი კუთხე იყო საქართველოს სხვა რაიონებს: მართალია, სვანეთს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანურ ხალხებთან, მაგრამ ეს ურთიერთობა ვერ ახდენდა ისეთ გავლენას, რომ მას მაჰმადიანობის გავრცელება მოჰყოლოდა სვანეთში. სვანეთის სინამდვილეში ხალხის ყოფისა და ქრისტიანულ რელიგიურ რწმენაზე არცერთ სხვა რელიგიას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გავლენა, როგორც წარმართობამ. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქრისტიანობა აქ ერთგვარი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება. აქ ბევრი წარმართული წმინდანი, თუ კულტი უმაღლეს ქრისტიანულ რანგში (ხარისხში) არის აყვანილი და მასთან დაკავშირებული დღესასწაულები ქრისტიანობის სახელით ტარდება. ერთი ასეთთაგანი არის წმინდა გიორგის კულტი და მასთან დაკავშირებული დღესასწაულები.

სვანეთის ხალხურ თქმულებებში წმინდა გიორგი - „ჯგრაგ“ უზენაესი და უძლიერესი ღვთაებაა: მისი მფარველობის წინააღმდეგ თვით შემოქმედი ღმერთიც უძლურია. წმინდა გიორგი (ჯგრაგ) ისევე, როგორც მიქელმთავარანგელოზი („მიქელთარიგზელ“) ღმერთის უშუალო მრჩეველი და დაახლოებული ღვთაებაა. იგი მუდამ ღმერთის გვერდით ზის და ცდილობს ხალხს შვება და ბედნიერება მოუტანოს. თუ ღმერთმა გადაწყვიტა ხალხის საწინააღმდეგო რაიმე მოქმედება ჩაიდინოს, წმინდა გიორგი იმ წამსვე აფრთხილებს ხალხს და იხსნის განსაცდელისაგან. მათს წარმოდგენაში წმინდა გიორგი იმდენად კეთილია, რომ თვით ღმერთსაც კი სჯობნის. ღვთაებათა იერარქიის კიბის მეორე ადგილზე, სვანების რწმენით, „შემოქმედი ღმერთია“,

ხოლო მესამე ადგილზე „ელია“ გამოდის, რომელიც წმინდა გიორგისთან შედარებით ძალზე სუსტი და უძლურია. იგი შემოქმედის ბრძანების შემსრულებელია მხოლოდ. განსაკუთრებული რწმენის არიან წმინდა გიორგის მიმართ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებიც.

ლოცვის დროს ხევსურები და ფშავეები, წმინდა გიორგის ღმერთად ახსენებენ, ხოლო სვანები უზენაეს ღმერთად. რომელსაც ღმერთზე მეტი ძალა გააჩნია. წმინდა გიორგისადმი ასეთი აღმატებული თაყვანისცემა და მისადმი განსაკუთრებული რწმენა, იმაში გამოიხატება, რომ სვანეთში არცერთი წმინდანის სახელზე არ არის იმდენი სამლოცველო და ეკლესია აგებული, რამდენიც წმინდა გიორგის სახელზეა. ასევეა მთელს საქართველოში. ვახუშტის ცნობით საქართველოში „არ არიან ბორცუნი და მაღალი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდის გიორგისანი“-ო⁷. ამის დამადასტურებელია ხალხში გავრცელებული რწმენა რომ „საქართველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესია და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია“.⁸ ამდენად, ვახუშტის ზემოდმოყვანილი ცნობა, რომ საქართველოში მთა არარის, სადაც წმინდა გიორგის ეკლესია არ იყოსო არც თუ იმდენად გაზვიადებულია. და, მართლაც განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში თითქმის არარის სოფელი წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო, რომ არ იყოს. მაგ: ხევსურეთის ცნობილი სამი ჯვარის სალოცავი: ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სამების ჯვარი წმიდა გიორგის ტაძრებად ითვლებიან, ხოლო ფშაველებში ცნობილი ძლიერი ლაშარის ჯვარი და მთიულეებში - დიდებული ლომისის ჯვარი ასევე წმიდა გიორგის ხატებია. წმიდა გიორგის სახელობის ხატებია კახეთის

- თეთრი გიორგის (სოფ. აწყური) და ალავერდის წმიდა გიორგის ტაძრები.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველო ადგილებს, მათ სათემო ღვთაებებს - ღვთის შვილებს და ამ ღვთაებების ადგილობრივ რელიგიურ ცენტრებს - ჯვარ-ხატებს უწოდებენ. ასეთი ჯვარ-ხატების კატეგორიას აღმ. მთიანეთში განეკუთვნება ხალხურ რელიგიასთან დაკავშირებული ნაგებობანი: სამლოცველო დარბაზი, საზარე, სასანთლე კოშკები, ბელლები, საქვაბე-სალუდეები და სხვა. ასეთ ნაგებობას მოიცავენ:ლაშარის ჯვარი, ხახმათის ჯვარი, თამარის ხატი, გუდანის ჯვარი და სხვა.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, ეს ჯვარ-ხატები, განსაკუთრებით ფშავის ცენტრალური ჯვარი „ლაშარის წმ. გიორგი“ იყო არამარტო ფშავის სალოცავი, არამედ მას ევედრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელები, ბარიდან ამოსული ქართველებიც. ამასთან, „ფშაველების ხატები, - შენიშნავს ვ. ბარდაველიძე, - რომელთა მნიშვნელობა მძლავრი ტრადიციის ზეგავლენით ქრისტიანობაზე ადრიდან უნდა მომდინარეობდეს საკულტო, საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა სახით უხვად არიან შემორჩენილი ფშავის ხეობის ზემო ნაწილში. იმავე ხეობაში ამგვარი ხასიათის ძეგლებთან ერთად მოიპოვება ქრისტიანული ეკლესიები, რაც რელიგიური სინკრეტიზმის არსებობაზე მიუთითებს“.⁹

ანალოგიური მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. აქ ჩვენ მრავლად ვხვდებით სალოცავ ადგილებს, სადაც ქრისტიანობამდელი საკულტო ნიშნების - „ვითინ“-ის გვერდით, ან მის ადგილზე აღმართულია ქრისტიანული ეკლესიები, რომელთაც

ბევრ შემთხვევაში წარმართული კულტების დაღი აზით. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი, როგორც ითქვა, წმიდა გიორგის უკავია. სვანეთში მართლაც, თითქმის არ არის სოფელი, სადაც, თუ ეკლესია არა, სალოცავი მაინც არ იყოს წმიდა გიორგის სახელობისა.

წმიდა გიორგისადმი ასეთი აღმატებული პატივისცემა და მისი შემოქმედ ღმერთზე მაღლა დაყენება ცხადია ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსალურ ქრისტიანულ საეკლესიო მოძღვრებას, რამდენადაც წმიდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს, მაგრამ რომლის?

ივ. ჯავახიშვილი, - იმოწმებს რა სტრაბონის აღწერილობას, რომელიც ალბანელთა სარწმუნოებას ეხება და აკეთებს რა მის შედარებას კახეთის განთქმულ თეთრ-გიორგობასთან, - წერს, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების მთვარის ადგილი უკავია“¹⁰. ამდენად, თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება ივ. ჯავახიშვილის აზრით მთვარის ძველი წარმართობის დროინდელი ნაშთია. ამას ისიც მოწმობს, რომ თეთრ-გიორგობაში ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს და ყველა ჩვეულებანი, იქნება ეს მსხვერპლის შეწირვა, ქადაგად დაცემა თუ სხვა, სწორედ მწუხრის ჟამს იწყება და მთელი ღამე გრძელდება. ეს იმიტომ, რომ რამდენადაც თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა და მთვარე ამოდის და ღამე ანათებს, მისადმი მიძღვნილი ხატობაც ღამით უნდა იყოს. ამასთან, ეს დღესასწაული იწყება 14 აგვისტოს საღამოს და გრძელდება მთელი ღამე, ხოლო 14-15 აგვისტო მთვარის აღვსებაა, მთვარე სრულია და ამიტომ ეს დღესასწაული ამ რიცხვებს ემთხვევა.

საქართველოს მთიანეთის რელიგიური შეხედულებების გაცნობა და მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართალია, მთვარის კულტის ნაფუძვარზე წმ. გიორგის კულტი დამკვიდრდა და იგი ყველა ღმერთზე პოპულარული გახდა, მაგრამ საერთოდ ციურ მნათობთა კულტი და განსაკუთრებით მთვარისადმი რწმენა იმდენად ფესვმაგარი ყოფილა, რომ მისდამი თაყვანისცემის ზოგიერთი ელემენტი დღემდეა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სვანეთის სინამდვილეში მთვარის კულტი რომ ძლიერი იყო და მას ხალხი პატივს სცემდა იქიდანაც ჩანს, რომ მისი გამოსახულებით მოხატულია ზოგიერთი ქრისტიანული ეკლესია. ასე, მაგალითად, ჩუკულის (ქვემო სვანეთი) მთავარანგელოზის ეკლესიის გუმბათი, რომელიც მე-11 საუკუნეშია აშენებული, გაყოფილია ორ ნაწილად და მასში ერთ მხარეს მთვარეა გამოსახული, რომლის წრის ცენტრში მამაკაცის სახეა ჩახატული, ხოლო მეორე მხარეს მზე, ქალის სახის გამოსახულებით. კედლებზე კი სხვადასხვა ბიბლიური და წარმართული სცენები და პერსონაჟებია გამოსახული, რომელთა შორის აღსანიშნავია ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი, რომელიც შუბით ხელში გველეშაპს კლავს. აქვეა სცენები საიქიო ჯოჯოხეთისა და სამოთხის შესახებ, იმის შესახებ თუ როგორ ყრიან ადუღებულ კუპრში ჯოჯოხეთში მოხვედრილ ცოდვილ ადამიანებს და სხვა. ერთი სიტყვით აქ ერთდროულადაა წარმოდგენილი ქრისტიანული და წარმართული რელიგიური რწმენის ამსახველი სურათები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად ქრისტიანობის საკმაო სიმტკიცისა წარმართული კულტები მაინც ვერ იქნა სრულად დაძლეული. როგორც ჩანს ქრისტიანობა ვერ მოერია ბევრ წარმართულ კულტს და ამიტომ ტრანსფორმირებული სახით ისინი თავისად გაიხადა. ასეთად

გვევლინება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ წმინდა გიორგის კულტი, რომელშიც თავის მხრივ ტრანსფორმირებულია მთვარის კულტი. ზემოთ ნახსენებ, ქვემო სვანეთის სოფელ ჩუკულში, სოფლიდან მოშორებით, მდინარე „ფიშყორის“ სანაპიროზე, ხრამის თავზე, მაღალ ბეჭობზე დგას IX – X - ს. ს. ქვით ნაგები ეკლესია, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აღმოსავლეთის სარკმელი კი შემკულია ქვებზე რელიეფურად გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებით. მართალია, ეკლესია ქრისტიანული ძეგლია და იქ ქრისტიანული რიტუალები ტარდება, მაგრამ სანამ სოფელში ხალხი ცხოვრობდა (ახლა ნასოფლარია მხოლოდ) ასევე ტარდებოდა წარმართული რიტუალებიც.

განსაკუთრებით დიდი პატივისცემით სარგებლობდა ნადირობის ქალღმერთი დალის კულტი. მონადირეები აქ სწირავდნენ ჯიხვის რქებს, დათვის ტყავს და სხვადასხვა ნანადირევის რაიმე ნაწილს, რასაც ეკლესიაში ტოვებდნენ. ფაქტიურად, ამ ქრისტიანულ ეკლესიაში უფრო მეტად წარმართული რიტუალები ტარდებოდა.

რაჭაში მრავალძალის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერში ტარდებოდა ხატობა - „ნაციხურობა“ იგი იმართებოდა აღდგომის შემდგომ მეოთხე კვირის ორშაბათს და სამი კვირის განმავლობაში ყოველი კვირის ორშაბათს უქმობდნენ. „ნაციხურობა“ იწყებოდა კვირა საღამოს და მთელი ღამე გრძელდებოდა. ხალხი წმინდა გიორგის ხატის წინ ლოცულობდა, რომელსაც მღვდელი ეკლესიიდან გამოასვენებდა ხოლმე. ეს დღესასწაული ე. ი. „ნაციხურობა“ (ნაციხურის გორაკის სახელწოდების მიხედვით ნ. გ.) სოფელ სორის „ვაჟიშვილების ბედზე“ იყო დაწესებული. იგი თეთრი გიორგის ხატობის მსგავსად ღამით ტარდებოდა. ქართულ წარმართობაში ასევე

დამით უქმობდნენ, მსახურობდნენ მთვარეს. ნაციხურობის სამი სწორისა და თავის უქმობის ჩვეულება მთვარის მეოთხედის თაყვანისცემაზეა დამყარებული.¹¹ აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აკეთებს დასკვნას, რომ „თავი ნაციხურობა - ახალმთვარის თაყვანისცემის ნაშთი იქნება, პირველი, მეორე და მესამე სწორი კიდევ - პირველი, მეორე და უკანასკნელი მეოთხედის უქმეს უდრის“.¹² ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ნაციხურობა, თავიცა და სამივე სწორიც, მთვარის დღესასწაულის მსგავსად მხოლოდ კვირა ღამესა და ორშაბათობით ტარდება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ იგი, ისე, როგორც „წმიდა გიორგობა“, მთვარის ძველი თაყვანისცემის ნაშთია. ამას ადასტურებს თვით ორშაბათი დღის, რომელსაც ქართულად „მთვარის დღე“ ერქვა სვანური და მეგრული ეტიმოლოგია: ორშაბათს სვანურად „დომდიშ“ - მთვარის დღე („დომდულ“ მთვარე) ჰქვია, ხოლო მეგრულად „თუთაშლა“, რაც აგრეთვე მთვარის დღეს (თუთაშ - მთვარე) ნიშნავს. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ამ კულტმა თანდათან დაკარგა მისი ძალა და ადგილი დაუთმო ქრისტიანულ კულტებს, თუმცა ტრანსფორმირებული გადმონაშთის სახით მაინც შემორჩა ქრისტიანულ რელიგიას. სწორედ ეს „გადმონაშთი“ არის წმ. გიორგის კულტი.

სვანეთის სინამდვილეში „ნაციხურების“ მსგავსი წმ. გიორგის დღესასწაული იყო „ლამპრობა“ – „ლინპრარი“, რომლის შესახებაც დ. მარგიანი წერს: წმ. გიორგობაზე შეკრებისა და ფარისევლის კვირას, წირვის დროს სვანეთის რამოდენიმე სოფლის მცხოვრებნი დიდით - პატარამდის წმ. გიორგის საყდარში მიდიან. ყველას ხელში წინასწარ გამზადებული და სხვენზე გამხმარი არყის ხისაგან გაკეთებული

ლამპარი ეჭირათ, რომელთაც ეკლესიასთან ერთმანეთზე აწყობდნენ და დიდ ცეცხლს აჩაღებდნენ. მერე ხალხი „დიდების ლოცვა - გოდებას ასრულებდნენ, ხოლო ამ ლოცვის დამთავრების შემდეგ სიმღერით ბრუნდებოდნენ სახლებში. თითო მომცრო ლამპარს ყველა მიცვალებულის საფლავზე ანთებდნენ, ხოლო ერთ დიდ ლამპარს - კალოზე. „ხალხის რწმენით, - წერს ბ. ნიჟარაძე, - საფლავებზე დანთებული ლამპარები გზას უნათებდნენ იმათ მიცვალებულთ საიქიოს, როდესაც ისინი ამ ქვეყნიდან მიემგზავრებიან; კალოზე დანთებული დიდი ლამპარი კი არის დანიშნული „სუნდუქვ დეცემ“ - სთვის. ეს „სუნდუქვ დეცემ“ ხალხის აზრით არის ცის ღმერთი, რომლის ხელთ არის ბატონება ყვავილის მოვლენა ქვეყანაზე და ამისათვის ლამპრის ანთების დროს ხალხი ეხვეწება მას, რომ მან მშვიდობიანად მოავლინოს ყვავილი და ბავშვები არ დახოცოს“.¹³ ხოლო ეკლესიაში შეტანილი ლამპრით სვანი შესთხოვდა ღმერთს აეშორებინა ღმერთს მისთვის და მისი ოჯახის ყველა წევრისათვის თვალის ტკივილი, რაც ასე ხშირი იყო კვამლის გამო სვანურ მაჩუმბში.¹⁴

სვანურ წმინდა გიორგობაში განსაკუთრებით საყურადღებო არის „ლიმპრარის“ - ის ჩვეულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ძველი ქართული ჩვეულებაა და იგი სხვა კუთხეების წმინდა გიორგის დღესასწაულების მსგავსად ორშაბათს ტარდება, ორშაბათს კი წარმართული სარწმუნოების თანახმად მთვარის დღე იყო, ხოლო მთვარე, როგორც საერთოდ ქართველების, ისე საკუთრივ სვანების რწმენით ყველაზე ძლიერი ღვთაება იყო. აქედან გამომდინარე ცხადია მისი სახელობის დღეც ე. ი. ორშაბათი (დომდიმ, თუთაშხა) სვანებისათვის უმთავრესი უქმე დღე იყო. ამავე დროს,

საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი საზოგადო უქმე დღე კვირა არ შეიძლება ყოფილიყო, თუმცა კვირა სვანებისათვის (ასევე მეგრელებისათვის ნ. გ) მზის დღე იყო („მუჟელადელ“ - სვანურად, „ბჟაშღა“ - მეგრულად) და იგი სვანების რწმენით ისეთივე ღვთაება იყო როგორც მთვარე, მაგრამ მთვარეს მაინც ვერ უტოლდებოდა.

ჩვენთვის აქ საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. როგორც დავინახეთ წარმართულ ღვთაებათა შორის მზე კი არ არის მთავარი ღვთაება, არამედ მთვარე. და ამასთან, მთვარე საერთოდ ქართველი ხალხის და კერძოდ სვანების რწმენით მამრობითი სქესისაა და არა მდედრობითი. ამ მხრივ ქართულ - სვანური წარმოდგენა მთვარის, როგორც მამრობითი სქესის ღვთაების შესახებ ემთხვევა არაქართველური ხალხების წარმოდგენასაც.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით ქართველების მსგავსად მთვარე მთავარი ღვთაებად და ამასთან მამაკაცად მიაჩნდათ ასურელებსა და ქანანელებს.¹⁵ ამავე დროს ამ ხალხების წარმართული რელიგიური დღესასწაული ემთხვევა სვანურ „ლიმპარი“ - ს, რომელიც ზამთარში დიდმარხვის წინ ტარდებოდა. ასეთივე დიდი უქმე ჰქონდათ საბიელებსაც იანვრის თვეში, როდესაც ღვთაების სადიდებლად ნაძვის ტოტებს ანთებდნენ. ეს დღესასწაული ემთხვეოდა ოცდაოთხ იანვარს მთვარის დაბადების დღესასწაულს. „რასაკვირველია, - წერს ივ. ჯავახიშვილი, - ჩვენი ლამპრობა და ქანანელების დაბადების დღესასწაული ერთი და იგივეა“.¹⁶ არც ის არის შემთხვევითი, რომ თეთრ გიორგობის დღესასწაული, რომელიც 24 - 25 დეკემბერს ტარდება, ემთხვევა ქრისტეს დაბადების დღეს. ე. ი. „ქრისტეშობის“ დღეს. მაშასადამე, აქ მთვარის პირველ მეოთხედს, გავსებულისა და დამცხრალი მთვარის დროს იმ საკითხთან დაკავშირებით თუ ვინ

ვისგან შეითვისა მთვარის თაყვანისცემა ერთიანი აზრი არ არსებობს, მაგრამ როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ამ საკითხის გადაწყვეტის დროს აუცილებელია ქართველების მიერ მთვარის თაყვანისცემის ფაქტიც იქნას გათვალისწინებული.¹⁷

სვანურ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში რომ ერთ - ერთი მთავარი და ძირითადი ადგილი მამრობითი სქესობრივი ძალის ღვთაებას ეკავა ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ღვთაების სახელთან დაკავშირებით სვანეთში მთელი რიგი დღესასწაულები ტარდებოდა. ერთი ასეთთაგანი არის „მურყვამობის“ – (კოშკობის) დღესასწაული, რომელსაც სვანურად „ლიმურყვამალ“ ჰქვია. ეს დღესასწაული ტარდებოდა ყველიერის დასასრულის მეორე დღეს, შავორშაბათს („უტკუნ დოშდიშ“), დიდმარხვის პირველ დღეს რომელსაც ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემის მთელი მოსახლეობა ესწრებოდა.

„მურყვამობის“ დროს სხვადასხვა ჩვეულებანი („ადრეკილაი“, „მელია - ტულუფია“ და სხვა) სრულდებოდა, რომელთა შორის ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „მელია - ტულუფია“. ამ წარმართული რელიგიური თეატრალიზებული ჩვეულების მთავარ შინაარსს განაყოფიერების ორგანოს საღიანობისა და სიძლიერის მაგიური იდეალიზაცია შეადგენდა. მისი წარმოშობა გვაროვნული საზოგადოების საწარმოს საშუალებათა განვითარების დაბალი დონით იყო განპირობებული. ბუნებრივია, გვაროვნულ საზოგადებაში, როდესაც საწარმო ძალები ნაკლებად იყო განვითარებული, გვარის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება დამოკიდებული იყო მის წევრთა რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე ნაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაებას დიდი ადგილი ეჭირა. ეს მაგიური რიტუალებიც, რომელთაც „მელია - ტულუფიას“,

„ადრეკილაი“ და „საქმისაის“ დროს ასრულებდნენ სწორედ ამ ღვთაების სახელთანაა დაკავშირებული. ისინი მამრობითი სქესობრივი სიმძლავრის ლოცვა - ვედრება იყო ღვთაებისადმი და მათი გადმონაშთები სვანურ ზნეობრივ ჩვეულებაშიც საკმაოდ კარგადაა დაცული.

„მელია - ტულეფიას“ გარდა, როგორც ერთგვარი ველური თეატრალიზებული მაგიური რიტუალი, მურყვამობის დროს სრულდებოდა საგალობელი სიმღერები. მათ შორის აღსანიშნავია „კვირია - ღერთას“ სიმღერა საგალობელი. ეს სიმღერა ღვთის დიდი სავედრებელი სიმღერაა და მისი შესრულების დროს ქუდმოხდილი პირჯვრის წერით, სახით აღმოსავლეთისაკენ იდგნენ. ეს არის წარმართობისა და ქრისტიანობის ნარევი რელიგიური სარიტუალო საგალობელი სიმღერა, რომლის შინაარსი ასევე მამრობითი სქესის სიმძლავრის იდეალიზაციაა.

სვანი ეთნოგრაფის არსენა ონიანის ცნობით სვანეთში ლოცვა არ ჩატარდებოდა, რომ პირველად „კვირია“ არ ემღერათ. ამ სიმღერის შესრულება დღესაც ხდება სვანეთის სინამდვილეში. იგი სრულდება გარდაცვლილის დაკრძალვის დროს, „ზარის“ შემდეგ, როგორც გამამხიარულებელი და გამამხნევებელი, ბედნიერების მაუწყებელი საგალობელი იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილმა ღრმა მოხუცებულობას მიაღწია და ყველა მისი შთამომავალი (მონაგარი), განსაკუთრებით ვაჟიშვილები კარგად დატოვა. დაკრძალვის დროს ამ სიმღერის შესრულების მოწმე თვითონ იყო ამ სტრიქონების ავტორი ზემო სვანეთში სოფელ ბეჩოში კვიციანების ოჯახში.

ქვემო სვანური „ადრეკილაი“ და „მელია - ტულეფია“ ზემო სვანეთში „საქმისაის“ სახელით არის წარმოდგენილი. „საქმისაი“ ასევე,

ყველიერის აღების კვირას ტარდებოდა. ყველიერის ხუთშაბათს მთელ ზემო სვანეთში ყველა თემსა და სოფელში თოვლისაგან აკეთებდნენ „მურყვამს“ და მასთან დაკავშირებული წარმართული რელიგიური რიტუალები თითქმის ისეთივეა, როგორც ქვემო სვანეთში. ეს დღესასწაული დაწვრილებით აქვს აღწერილი ე. გაბლიანს და ამიტომ ჩვენ აქ მის კვლავ აღწერას არ შევუდგებით.¹⁸

სერგი მაკალათიას ცნობით სვანური მურყვაობა და მასთან დაკავშირებული დღესასწაულების ჩვეულებანი ქართლ - კახური „ყეენობის“ ჩვეულებათა მსგავსია.¹⁹ ქართლ - კახური ყეენობაც იმავე დროს იცოდნენ, როდესაც სვანური დღეობები „მურყვაობა“ და სხვა იმართებოდა.

სვანეთის ყოფაში, როგორც დავინახეთ, გარდა ქრისტიანული წეს - ჩვეულებებისა, ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული უამრავი ადგილობრივი ხასიათის საკულტო რიტუალები. ბევრი მათგანი მიძღვნილი იყო ციური მოვლენების თაყვანის ცემისადმი. ასეთი ღვთაება იყო ტაროსის ღმერთი, რომელსაც სვანურად „ვობი“ ერქვა. ქართულ წარმართობაში ასეთსავე ფუნქციას ასრულებდა „ელია“, რომელიც ცა - ღრუბლის ღვთაებად იყო მიჩნეული. ელიასადმი მიძღვნილი დღესასწაულები უქმობით აღინიშნებოდა ყოველ პარასკევსა და შაბათს. ამ უქმე დღეებში სვანები არ მუშაობდნენ იმის შიშით, რომ „ელია“ - ს არ დაესაჯა ისინი. სასჯელად არ გამოეგზავნა სეტყვა და არ გაეფუჭებინა ყანები. „ელია“ და მისი მსგავსი ღვთაებანი, როგორც სვანი ხალხის ისე ყველა ქართველის წვიმისა და გვალვის სავედრებელი ღვთაება იყო და მას შესთხოვდა ადამიანი წვიმას, როცა გვალვა სწვავდა არაემარეს, და

გამოდარებას და „მზის თვალს“, როდესაც განუწყვეტელი წვიმა - ავდარი ალპობდა ჭირნახულს.²⁰

„ელია“ წმინდა გიორგის და შემოქმედი ღმერთის შემდეგ ყველაზე ძლიერი ღვთაებაა. იგი ღრუბლების, წვიმა - სეტყვის, ელვა - მუხის ბატონია. ამიტომ, სვანი ხალხი ამ ღვთაებას დიდი შიშითა და პატივისცემით ეკიდებოდა. მას მიმართავდა ხოლმე თხოვნითა და ლოცვა - ვედრებით: ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქვემო სვანეთის სოფელ ჩუკულში ჩატარებული რელიგიურ - მაგიური რიტუალი, რომელიც გვალვით შეწუხებული ხალხის ვედრება იყო ელიასადმი და რომლის მოწმეც რამოდენიმე წლის წინათ ამ სტრიქონების ავტორიც იყო. სოფლის მთავარანგელოზის ეკლესიიდან გამოასვენეს წმიდა გიორგის ხატი, გამოხვეტეს ეკლესია და ნაგავი იქვე მდინარეში ჩაყარეს. ამავე მდინარეში „აბანავეს“ წმიდა გიორგის ხატიც. ასევე, ამავე მდინარეში აბანავეს კატაც. ამ რიტუალის პროცესიას, ხატით ხელში, წინ მიუძღოდა სოფლის ყველაზე ხანდაზმული კაცი ანტონ გულბიანი; პროცესია მდინარისაკენ და მდინარიდან ეკლესიისაკენ მიდიოდა გალობით, ელიასადმი თხოვნით, რომ მიეცა წვიმა - ავდარი გვალვით გადამწვარი მიწისათვის.

უეჭველია ამ მაგიურ მოქმედებაში ძველი წარმართული რელიგიური რწმენაა შემორჩენილი, სადაც ერთ - ერთ კომპონენტს კატა, როგორც ავი სული წარმოადგენს და, რომელიც ასევე ქრისტიანულ ელემენტებთან არის შეზავებული.

მსგავი ჩვეულებანი გვხვდება საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც, რომელიც სხვადასხვა ფორმით ტარდებოდა, მაგრამ შინაარსი თითქმის ყველგან ერთი იყო და ყველგან ღრუბელთ ბატონის ღვთაების თაყვანისცემა და მსახურებაა წარმოდგენილი.

ელიას კულტი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ფშავ - ხევსურეთსა და თუშეთში. ვახუშტის ცნობით მათ (თუშებს ნ. გ.) „აქუსთ კლდე დიდი და მაღალი და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“²¹. ხევსურებს გარდა ელიასი „ცა - ღრუბლისა“ და „სეტყვა - ხობოშელას“ გამგედ მიაჩნიათ ღვთაება „პირიმზეც“. სოფელ ხახმატის მცხოვრებთ „ცა - ღრუბლის“ უძლიერეს ხატად ასევე მიაჩნდათ ქისტების „მაისტის ხატი“, რომლის სახელზეც ისინი უქმობდნენ პარასკევს, შაბათსა და ორშაბათს.²²

ამრიგად ელიასადმი თაყვანისცემა და მისი როგორც „ცა - ღრუბლისა“ და „ამინდ-ტაროსის“ ღვთაებისადმი რწმენა, დამახასიათებელია საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხისათვის. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით გამოიხატებოდა ეს რწმენა, ის მაინც ძლიერი იყო მთელს საქართველოში. ამასთან, ელიასადმი თაყვანისცემის ამ მაგიურ - საკულტო მოქმედებაში ნათლად ჩანს მემინდვრეობისა და მაღალი მოსავლისათვის ზრუნვა. ამ ზრუნვის გამოხატულებაა ბევრი საკულტო მოქმედება, რომელიც დღემდე გვხვდება სვანეთის სინამდვილეში.

მოსავლიანობის კეთილდღეობის სავედრებელი რელიგიური დღესასწაულია ლაშხეთის თემის სოფელ სასაშის „ქვიშ“ - ის მთავარანგელოზის ეკლესიასთან ახალკვირის ორშაბათს მოწყობილი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლოცვა, სადაც შესაწირებით მოდიან არა მხოლოდ ლაშხეთის სოფლები, არამედ ჩოლურისა და ლენტეხის მთელი რიგი სოფლებიდან. მოსავლიანობის გაზრდისათვის ზრუნვის მაგიური რიტუალი ტარდებოდა დიდმარხვის ბოლო ხუთშაბათს -

„უტკუნ ცააშ“ ან „შიხარ ცააშ“ - ბნელი ხუთშაბათი, ნახშირიანი ხუთშაბათი. ამ დღეს ბავშვებს შუბლზე ნახშირს უსვამდნენ, რომ ავთვალს არ ევნო მათთვის. მორწმუნე დიასახლისი „უძრახად“ მოიტანდა მდინარიდან კენჭებსა და თეთრ ქვას. ამ ქვას ყანის შუაგულში ჩასმულ ეკლიან ჯოხზე - „ცაყზე“ ჩამოდებდა, გარშემო კენჭებს მიუყრიდა. ამ მაგიური მოქმედების ფაქტებს ხშირად ვხვდებით თანამედროვე სვანეთის ყოფაშიც. მას ორგვარი ფუნქცია მიეწერება, უხვი მოსავლიანობის უზრუნველყოფა და ოჯახის ავი თვალისაგან დაცვა.

წარმართული რელიგიური რწმენისა და წეს - ჩვეულებების გადმონაშთი ქრისტიანობაში ტრანსფორმირებული სახითაა შემოსული „ახალკვირად“ წოდებული დღესასწაული, რომელსაც სვანები აღდგომის შემდეგ პირველ კვირას დღესასწაულობენ. ამ დღესასწაულის ჩატარების განსაკუთრებული წესი იმაში მდგომარეობს, რომ აქ „იკრიბებიან მარტო ჯვარდაწერილი დედაკაცები“²³, რომლებიც სპეციალურად მოწყობილ „ლამზირზე“ აცხობენ „ტაბლებს“ (ყველიან პატარა პურებს) და რომლებსაც ლოცვის დამთავრების შემდეგ იქვე გაკეთებული და ბრტყელი ქვებით მოფენილ სოროში „მარხავენ“.

ივ. ჯავახიშვილის აზრით „ლამზირ“ ანუ „მიწის სალოცავი“ ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაებაა, მაგრამ არა მამრობითი სქესის, როგორც კვირია, არამედ მდედრობითი სქესისა რასაც მხოლოდ მასში ჯვარდაწერილი ქალების მონაწილეობის თავისებურებაც ამტკიცებს. მიუხედავად ამისა „მიწის სალოცავისადმი აღვლენილი ვედრების“ შინაარსი მამათა სქესის სიმრავლის მოთხოვნის გამომხატველიცაა. ამ რელიგიურ რიტუალში ე. წ.

„ლამზირში“ ივ ჯავახიშვილი „კვირია“ - ის პარალელურ ქალთა სალოცავი ღვთაების თაყვანისცემის ნაშთს ხედავს, რომელიც წარმართული რწმენის თანახმად დედამიწის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ქრისტიანულ სამოსელში გახვეული, იგი ეტყობა „ღვთისმშობლად“ არის მიჩნეული²⁴. ასევე, გაბლიანს წიგნში „ძველი და ახალი სვანეთი“ „საქმისაის“ ზემო სვანური ჩვეულების დახასიათების დროს აღწერილი აქვს რიტუალი, რომლის თანახმადაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ „ლამარია“-სა და „ღვთისმშობლის“ სახელით იგივე ქალთა მიწის სალოცავი ღვთაება იგულისხმებოდა²⁵. ამასთან ყველგან მისი შინაარსი მამრობითი სქესის სიმრავლისათვის ზრუნვაა. სვანური მიწის სალოცავის „ლამზირის“ მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფშავებსა და ხევსურებს „ადგილის დედა“ ჰყავთ, რომელიც მთელი მიწის ღვთაების დედათაა მიჩნეული. ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ ძველი საქართველოს ყველა კუთხე თაყვანს სცემდა „დედამიწას“ როგორც ღვთაებას და მას ადამიანის მოდგმის შემდგომ გამრავლებას ევედრებოდა. ამიტომაც, ალბათ რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებასა თუ მწერლობაში „დედამიწა“ და „დედამშობელი“ სინონიმები იყო ხოლმე.

საბოლოოდ მინდა ავღნიშნო, რომ მიუხედავად მისი გაბატონებული მდგომარეობისა ქრისტიანობა საქართველოს მთიანეთში, ისე როგორც საერთოდ ყველა მონოთეისტური რელიგია, არასოდეს წმინდა სახით არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. აქ უხვად არის დალექილი წარმართული რელიგიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი საკულტო მოქმედებანი, რაც უსათუოდ თავისებურ შინაარსს აძლევს მას. მაგრამ მტკიცება იმისი, რომ საქართველოს მთიანეთის ხატობა - დღესასწაულები და რელიგიური რიტუალები

მოჩვენებით გაქრიტიანებულია და მისგან ქრისტიანული ფენის “ჩამოფხეკის” შემთხვევაში მხოლოდ წმინდა წარმართული რელიგია დარჩება,²⁶ ან საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობისა და წარმართობის ერთგვარი შერწყმის შედეგად მასში სრულიად დამოუკიდებელი რელიგიური სისტემა დავინახოთ, რომელსაც თითქოს თავისი თვითმყოფადი, ორიგინალური თეოგენია, მითოლოგია, კულტი და მორალი გააჩნია,²⁷ არასწორი იქნებოდა.

მართალია „ქრისტიანული ფენის“, „წარმართობის ცოცხალი ნაშთებისა“ და სხვა მრავალი ელემენტის ურთიერთმოქმედება მთის ყოფაში, კერძოდ სვანეთში გარკვეულ გავლენას ახდენს ორივე ამ რელიგიების (წარმართობისა და ქრისტიანობის) შინაარსზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ ჩამოყალიბდა ახალი, ორიგინალური თვითმყოფადი რელიგიური სისტემა, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საკულტო მოქმედება განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თეოგენია, მითოლოგია და მორალი.

ფაქტია, ქრისტიანობამ საბოლოოდ გაიმარჯვა, საქართველოს როგორც ბარში, ისე მთაში. მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართველი ხალხის ცნობიერებაში, რის გამოც „ქართველი“ და „ქრისტიანი“ სინონიმები გახდნენ, მაგრამ მთის სინამდვილეში მასში, როგორც დავინახეთ უხვადაა შემორჩენილი წარმართული რელიგიის ელემენტები, რასაც თვით ქრისტიანული ეკლესიაც ებრძოდა. სამღვდელოება ცდილობდა მათ გამოდევნებას ხალხის ყოფიდან, მარგამ იგი ყოველთვის მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. საქმე იმაშია, რომ აქ ერთმანეთს ეჯახებოდა ორი რელიგიური სისტემა წარმართობა და ქრისტიანობა, სადაც გაბატონებული ქრისტიანული

რელიგია ვერ იგუებდა ძველს, წარმართულს, მისთვის ორგანულად უცხოს, მაგრამ ძველიც სიცოცხლისუნარიანია, მითუმეტეს მთის ყოფაში და ასე იოლად არ თმობდა თავის პოზიციებს. ამიტომ, ქრისტიანული ეკლესია კმაყოფილდებოდა იმით, რომ ბევრ წარმართულ წეს - ჩვეულებასა და დღესასწაულს ხალხი მხოლოდ გარეგნულ ფორმას უცვლიდა, მას ქრისტიანულ სამოსელში ახვევდა და ამგვარად ქრისტიანიზირებული სახით წარმოგვიდგენდა. ეს საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ძველსა და ახალს შორის ბრძოლაში, და მას ვხვდებით ყველა მონოთეისტურ რელიგიაში, მაშასადამე ქართულ ქრისტიანობაშიც.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს მთიანეთში რელიგიურ ყოფასთან დაკავშირებული საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები. განხილულია ქრისტიანულ - მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართების საკითხი საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი წარმართული რელიგიური რწმენა - წარმოდგენებისა და ყოფითი ტრადიციების მიმართ.

ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ მიუხედავად საქართველოს ქრისტიანულ - მართლმადიდებლური ეკლესიის ხანგრძლივი ისტორიისა და იმ უდიდესი როლისა, რაც მან შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში და რის შედეგადაც “ქართველი” და “ქრისტიანი” სინონიმები გახდა, ქრისტიანობამ მთლიანად მაინც ვერ აღმოფხვრა მთის ყოფაში არსებული ცალკეული წარმართული რწმენა - წარმოდგენანი და საკულტო მოქმედებანი, რის გამოც ბევრი მათგანი ქრისტიანული დღესასწაულის სახით ტარდება დღესაც. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მთის ყოფაში ტრადიციები გაცილებით სიცოცხლიუნარიანია და ძველი ძნელად იცვლის შინაარსს.

SUMMARY

The article deals with the religious life in the mountainous regions in Georgia with interesting important issues. Considered a Christian - Orthodox Church in connection with the question of the mountainous region still remained pagan religious beliefs - perfect in life traditions.

At the end of the conclusion, which played a major role Christian - Orthodox Church in the long history of the Georgian people and the “Georgians” and “Christianity” has become synonymous with Christianity is completely and still not able to eliminate the mountain of life of individual pagan beliefs - making and religious activities, so much of the Christian holiday as the place today. The author concludes that all this is the result of the fact that the old life and tradition in the mountains longer viable and it is difficult to change their content.

РЕЗЮМЕ

В брошюре рассматривается религиозной жизни в горных районах В Грузии с интересными важными вопросами. Рассмотрено христианской - православной церкви в связи с вопросными о горном регионе еще оставшийся языческих религиозных верований - совершенной в жизненных традициях.

В конце сделано вывод, какую большую роль сыграл христианский - православный церкв в давнем историю грузинского народа, и в результате чего „грузин“ и „христианин“ стало синонимам, христианство полностью и до сих пор не в состоянии ликвидации горных жизни отдельных языческих верований - совершение и религиозных действий, поэтому много из христианского праздника в качестве состоятся сегодня. Автор приходит к выводу, что все это является результатом, того что старый жизнь и традиция в горах больше жизнеспособный и трудно изменить их содержание.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ბარდაველიძე, - ქართველი უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ბარბარ - ბაჰარ). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომც. თბილისი 1941. გვ. 1-2.
2. Е. К. Кирион – Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тбилиси. 1901. стр. 112.
3. Е. К. Кирион დასახელებული ნაშრომი. გვ. 112.
4. ვ. ჩიქოვანი - მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX ს - ის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მიხედვით გამომც. „მეცნიერება“ თბილისი, 1979 ნაშრ. გვ. 68.
5. ვ. ჩიქოვანი. - დასახელ. ნაშრ. გვ. 70.
6. Бакрадзе Д. В. – Сванетия (зкоирго кн. II. изд. под. ред. Д. И. Ковалевского, Тифлиси, 1864) ст. 41.
7. ივ. ჯავახიშვილი,- თხზ. ტ. I. 1979 წ. გვ. 88.
8. ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 89.
9. ვ. ბარდაველიძე - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადო-საკულტო ძეგლები. ტ. I. გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1974 წ., გვ. 9.
10. ივ. ჯავახიშვილი - დასახ. ნაშრ. გვ. 90.
11. ივ. ჯავახიშვილი - დასახ. ნაშრ. გვ. 101.
12. ივ. ჯავახიშვილი - დასახ. ნაშრ. იქვე.
13. ბ. ნიჟარაძე - ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I. გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ. 1962, გვ. 59.
14. ბ. ნიჟარაძე - დასახ. ნაშრ. გვ. 59.
15. ივ. ჯავახიშვილი - დასახ. ნაშრ. გვ. 101.

16. ივ. ჯავახიშვილი - იქვე, გვ. 101.
17. ივ. ჯავახიშვილი - იქვე, გვ. 101.
18. ე. გაბლიანი - „ძველი და ახალი სვანეთი“. თბ. 1925. გვ. 126-127.
19. ს. მაკალათია - ფალოსის კულტი საქართველოში: „მიმომხილველი“, 1926, გვ. 132-133.
20. ივ. ჯავახიშვილი - დასახელებული ნაშრ. გვ. 117.
21. ბატონიშვილი ვახუშტი - „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ. „საბჭოთა საქართველო“. 1973. გვ. 555.
22. ნ. ურბნელი - ეთნოგრაფიული წერილები: „ივერია“. 1887. 1 აგვისტო, №158.
23. კალენიკე ანდლულაძე, სვანეთი, „სახალხო ფურცელი“. 1915წ., 1 ივლისი, №320, გვ. 3.
24. ივ. ჯავახიშვილი - დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.
25. ეგნ. გაბლიანი - დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.
26. ს. მაკალათია - მთიულეთი, თბ. 1930. გვ. 149.
27. ვ. ჩიქოვანი - დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

ნოდარ გულბიანი

მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძოლა
წარმართული კულტების წინააღმდეგ
საქართველოს მთიანეთში

თბილისი

2010 წ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინე ქარსელაძე

ტირაჟი: 300 ეგზემპლარი

